პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სლ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 თებერვალი, შაბათი, 1989 წ.
№ 34 (9953) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მესხი და ზვერევა პირისპირ

ფერფაკსი. „ვირჯინია სლიმზის“ ჩოგბურთელთა ტურნირის მეოთხედფინალში თამაში თავისთავად დიდი პატივია. მით უმეტეს, რომ ასპარეზობას ბევრი ძლიერი სპორტსმენი უკვე გამოეთიშა, მათ შორის ლარისა სავჩენკოც.

რვა უძლიერესს შორის გავიდა ორი საბჭოთა ჩოგბურთელი ლილა მესხი და ნატალია ზვერევა. ქართველმა სპორტსმენმა დიდი უპირატესობით მოუგო გფრ-ის ერთ-ერთ წამყვან ჩოგბურთელს ევა პფაფს — 6:0, 6:2. ნატალია ზვერევამ კი ამ ეტაპზე ამერიკელი ჯერი ინგრამი დაამარცხა — 6:2, 6:4.

შორიგ წარმატებას მიაღწია ტურნირის მთავარმა ფავორიტმა შტეფი გრაფმა (გფრ). მან ამჯერად კანადელი კარლინგ ბასეტ-სეგუსო „გაანადგურა“ — 6:0, 6:0.

გიფთამაშების მომდევნო ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა ჩოგბურთელები მესხი და ზვერევა.

მილანი. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ტურნირში („გრან-პრის“ პროგრამით) უფელი ანდრეი ჩერკასოვის ფრანგ ანრი ლეკონტთან სენსაციური გამარჯვების შემდეგ კიდევ ერთი მოულოდნელობა მოხდა — ოლიმპიური ჩემპიონი მილოსლავ მეჩირჟი (ჩეხოსლოვაკია) ნაკლებად ცნობილ ომარ კამპორეზესთან დამარცხდა — 4:6, 6:7.

ჯონ მაკინროუმ თავისი დებადების 30 წლისთავი მილანში მორიგი წარმატებით აღნიშნა. დაამარცხა უვე შტეფები (გფრ) — 6:3, 6:2.

ამ ნომრის ახალი ერუდიტული ბიბლიოთეკა

◎ **ახლოვდება** ქიუდოში თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა სხდომა, რომელზედაც განიხილეს ტურნირის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების საკითხები. წელს პირველად მთელი რიგი საკითხების მოგვარება იკისრა ქიუდოს რესპუბლიკურმა ფედერაციამ (თავმჯდომარე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ანდრო ღლონტი)

◎ **გაიმართა** პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად იმსჯელეს პროფკავშირების ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების ახალი სეზონისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ. მიიღეს დადგენილება, რომლის შესრულებაზე კონტროლი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ებრალიძეს დაევალა.

◎ **ბორში, კულტურისა და ტექნიკის სახლში** შეხვედრა მოუწყვეს აჭაარ ქიუდოისტებს, რომლებმაც ამას წინათ წარმატებით იასპარეზეს მინსკში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში.

◎ **მოსკოვში** გაიმართა საჭადრაკო კომპოზიტორთა საანგარიშო-საარჩევნო პლენუმი. საქართველოდან პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ გია ნადარეიშვილი, ვაჟა ნეიძე და დავით გურგენიძე.

პლენუმმა სსრ კავშირის საჭადრაკო კომპოზიციის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ცნობილი თბილისელი კომპოზიტორი, საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში გია ნადარეიშვილი.

SOS

ქართული კალათბურთის ტრადიციები საფრთხეშია. თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდში საგანგაშო ვითარება შეიქმნა. ჩვენი გაზეთის მკითხველები და სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრები გუნდის ხელმძღვანელებისგან დასაგუთებულ პასუხს ელიან.

იხ. მე-2 გვ.

სპორტი და ხელოვნება

პირველ სიყვარულს იოლად არ ეღალატება

ათი წლის წინათ სახელგანთქმულ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს ვესტუმრეთ და ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ.

მაშინ საჭრეთლის დიდოსტატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იყო დასახელებული და აირჩიეს კიდეც.

ახლა მერაბ ბერძენიშვილი უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და კვლავ დეპუტატობის კანდიდატადაა დასახელებული.

მაგრამ დღეს მოქანდაკესთან ათი წლის წინანდელი სტუმრობა და საუბარი მხოლოდ ამიტომ როდი გავიხსენეთ. გავიხსენეთ იმიტომაც, რომ ახლახან გამოიცა ფოტოალბომი „მერაბ ბერძენიშვილი. ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა“.

— ერთადერთი, სადაც სპორტულ თემაზე მოქანდაკეთა მიერ შესრულებული ნამუშევრების გაცნობა შეიძლება და ჩვენს მუშაობას ამ სფეროში სტიმულს აძლევს, ეს რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენებია, — გვითხრა მაშინ ბერძენიშვილმა. — დღეს გამარჯვებულ სპორტსმენებს ხშირად ყოვლად უგემოვნო თასებს აჩეჩებენ ხელში, გამოფენაზე კი მრავალი ექსპონატი შეიძლება შეირჩეს, დამზადდეს და ჩემპიონს იმ უსახური თასის ნაცვლად გადაეცეს.

მაშინ, საუბრისას, ისიც გავიხსენეთ, რომ ამ საკითხისადმი სამგალითოა კასპელების დამოკიდებულება. ისინი ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულ გუნდს „გიორგი საკაძის“ მცირე ზომის ასლს გადასცემენ.

საჭრეთლის დიდოსტატს სიტყვა იმაზეც ჩამოვუგდეთ, რომ სამწუხაროდ, ქართულ ქანდაკებაში სპორტულ თემატიკას თითქმის ვერ ვხვდებით. საერთოდ, ხელოვნების წარმომადგენლები ცოტა არ იყოს მწყრალად არიან სპორტულ თემატიკასთან.

— ოღონდაც, წამითაც არ გაივლოთ გულში, რომ ამაში ჩვენ, ხე-

იხ. მე-2 გვ.

— პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თაოსნობით —





„თუ ეჯიბრები მიმინოს, იფრინე, კი არ ირბინო“

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დღეს, მოსწავლეთა შორის, „მხიარული სტარტები“ ყველაზე პოპულარული და საყვარელი შეჯიბრებაა. იგი თავისებური სავიზიტო ბარათიცაა—თუ რა მუშაობა ტარდება სკოლაში არა მარტო ფიზიკური, არამედ ესთეტიკური აღზრდის მხრივაც. ამ მოსაზრებაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გამართულმა ასპარეზობამ ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატსა და მუსიკალურ სკოლა-ინტერნატს შორის. ასპარეზობის ორგანიზატორი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება და საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება იყო.

ამ ლამაზ შოუს კი სული ჩაუდგა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ფიზმომზადების და სპორტის ჯგუფის უფროსმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა, სპორტის ოსტატმა თეიმურაზ ლაკიამ (მისი დაწერილი სცენარით წარიმართა ეს შესანიშნავი ღონისძიება).

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზს შეჯიბრების ჩატარებაში (სპორტის ოსტატ დიმიტრი გრიგორის გარდა) ეხმარებოდნენ შვილები — ქეთინო და კობა ლაკიები.

სიტყვა შოუ ტყუილად არ გვიხსენებია, მხიარულ სტარტებში სინქრონულად იყო ჩართული მუსიკალური ნომრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ თვით მუსიკალური ინტერნატის ხალხურ საკრავთა გუნდი „ნაღარა“, თანამედროვე ცეკვების ანსამბლი „აისი“ (ხელმძღვანელები საკავშირო ფესტივალის დიპლომანტები ცისანა კობახიძე და ზაურ მახარაშვილი) და სხვ.

„მხიარულ სტარტებს“ შინარსს მატებდა ლოზუნგები, მოწოდებები და ტრანსპარანტები (ერთ-ერთი მათგანი ჩვენი წერილის სათაურად გამოვიყენეთ), რომლებიც ორივე სკოლა-ინტერნატმა საკმაოდ გამოიტანა.

თვით შეჯიბრების შესახებ კი მოვუსმინოთ ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვიქტორ სანეევს.

— მე საკმაოდ ბევრ მხიარულ სტარტებს დავსწრებივარ და უნდა აღვნიშნო, რომ ეს ღონისძიება ერთ-ერთი საუკეთესო იყო. როგორც ჩანს, ორივე სკოლა-ინტერნატში ფიზიკურ აღზრდას საკმაო ყურადღება ექცევა. როგორც „მიმინო“, ისე „ნაღარა“ ფიზიკურად კარგად იყვნენ მომზადებული. შეჯიბრება უაღრესად მაღალ ტემპში მიმდინარეობდა, მეტოქეები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. ყველა მათგანმა გამოამჟღავნა კომპლექსური ფიზიკური მომზადება და ანგარიში 20:20 ძალთა შეფარდებას ობიექტურად ასახავს.

ჩვენი მხრივ იმას დავუმატებთ, რომ ასეთი შეჯიბრებები უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს. იგი ხელს შეუწყობს სკოლებში ფიზიკურ მომზადებაზე პასუხისმგებლობის გაზრდას.

მოუვარეს პირში უძრახე

გთხოვთ, ლევან!

თავდაპირველად ბოდიში უნდა მოვიხადოთ კალათბურთის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა წინაშე, რომლებმაც თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდში შექმნილი ხანგრძლივი ვითარებით შეწუხებულებმა, თავიანთი გულისტკივილი გაგვიზიარეს, ჩვენ კი არ ვიჩქარეთ, რომ ამ წერილების შინაარსი მკითხველისთვის გაგვეცნო. რატომ მოხდა ეს? არაერთგზის გამოგვიცდია — ხეზონის დასაწყისში გუნდზე საუკეთესურს იტყვი თუ არა, გუნდის ხელმძღვანელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კოლექტივთან ძალიან დაახლოებული გულშემატკივართა ერთი ნაწილი აქეთ გვიკიეინებს: თქვი კაი ხალხო, ჩახაფრებულები ხომ არა ხართ, მოითმინეთ და ყველაფერი გამოსწორდებაო. ეს კიდევ არაფერი, შეცდომებზე თუ მივუთითეთ და ხაქმე არ გამოსწორდა, მაინც ეურნალისტებს გვიბრუნდება რიხხვა — აი, რა ქენით, სპორტსმენებს ხახელიც გაუტეხეთ და გულიც, ხელი კი არ შეუწყვეთ, თქვენი კრიტიკით ავნეთ და ყოველგვარი ხალიხი დაუკარგეთო.

ასეთი შემოტევა არ გვეუცხოება. მსგავსი შემთხვევა ბევრი ყოფილა და კიდევ ერთხაც გავუძლებდით, „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდიხა და მათი ხელმძღვანელების შეხაძლებლობებში ჩვენც რომ ღრმად არ ვყოფილიყავით დარწმუნებული. მაგრამ, ეტყობა, ამჯერად ჩვენს გუნდში უფრო ხერიოზულად იყო ხაქმე, ვიდრე ვფიქრობდით, ხოლო მოლოდინმა და მოთმინებამ არ გაგვიმართლა. ახლა კი შევეცდებით გულშემატკივრებთან ერთად პირდაპირ ვუთხრათ სიმართლე ჩვენ გუნდხაც და მათ ხელმძღვანელებხაც.

ჯერ სიტყვა მივცეთ გულშემატკივრებს, ტონს და სტილს არ ვცვლით. აქვე შევნიშნავთ, რომ რედაქცია ბევრ რამეში გულშემატკივრებს არ ეთანხმება.

კოტე წულაია (ქუთაისი, ინჟინერი): „სტატიებასთან“ თბილისში ჩატარებული მატჩის შემდეგ: „ჩვენი დინამოელი კალათბურთელები არიან ხუფთა მუდოები, გასაგიეელია თამაშს იგებდე 14 ქულით და ბოლოს 3-4 წუთში წააგო. ამაში წვლილი, ცხადია, უფროს მწვრთნელხაც მიუძღვის, რომელიც სკამზე იჯდა და არავითარ ზომებს არ იღებდა, იმ დროს, როცა „სტატიებას“ მწვრთნელი მუდამ მოძრაობაში იყო. რას მივაწერო ეს, ვერ გამიგია. იმდენი ქნა „სტატიებას“ მწვრთნელმა, რომ მიხმა აქტიურობამ დინამოელებზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა, ასეთი სტატიტი ჩვენი გუნდიხა ჯერ არ მახხოვს. სკამზე ჯდომა და თამაშის ცქერა არაა მწვრთნელის მოვალეობა. ნუ მიწყენთ, დინამოელებო, ამას ვლაპარაკობ იმის გამო, რომ ცოტა გამოფიზზლდეთ და შეიგნოთ, რა მდგომარეობაშია დღეს გუნდი. თუ ახე გაგრძელდა, შეიძლება პირველ ლიგაშიც ამოყოთ თავი. ეს ხომ თავის მოკრა იქნება. 28.01.89 წ.“

ალექსანდრე მარანაძე (თბილისი): „ძალზე შეშფოთებული ვარ და მოგმართავთ კითხვით, — რაშია ხაქმე, რა მოსდეს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებს, რატომაა, რომ მისი რიგებიდან ხეზონის ბოლოს მიდიან და მერე ისევ ჩამოყავთ „ლტოლვილები“. ვფიქრობ მხოლოდ გენადი კაპუტინის თამაში შეეფერება ქართული კალათბურთის სტილს. მას მეტი ხელშეწყობა უნდა. დანარჩენები, ხომ ხედავთ, არ ბრწყინავენ, დაუთმონ ადგილი ჩვენს ახალგაზრდებს. 3.01.1989 წ.“

ვახტანგ მელაძე (რუსთავი, მეორეტაუე): „ბოლოს და ბოლოს ხირცხვილია, როდემდე აპირებთ მოწვეული ხპორტხმენებით თამაშს. ხიკვდილამდე ხომ არ გინდათ მიიყვანოთ ქართული კალათბურთი. რომ იგებდეთ და რაიმე-პერსპექტივა ჩანდეს, კიდევ აიტანს კაცი. ნუ მიაჯაჭვავთ გუნდში მოხულ ახალგაზრდებს სკამს, ათამაშეთ, ამაზე მეტი რაღა მოხდება, ხვალ და ზეგ მაინც მათ იმედად არ უნდა დავრჩეთ? 3.02.1989 წ.“

ელიზბარ კეპაუმაძე (თბილისი): „დადგება დრო და ჩვენი გულშემატკივრები ხახუხს მოითხოვენ „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის გადაჯიშებაზე. გვითხარით ვინ და რა მოსაზრებით აკეთებს ამას. პირადად ჩემთვის გაუგებარია ყველაფერი, იქნებ თქვენთვისაც. მაშ იმოქმედეთ! 6.02.1989 წ.“

რედაქციამ მხოლოდ რამდენიმე წერილი გამოარჩია მრავალთაგან. გამოარჩია, არ დავმალავთ, ისეთები, უფრო ლმობიერი ტონით რომ არის დაწერილი და თანაც ხხვათა აზრსაც ეხმიანება. ამ დღეებში კი პირდაპირ მოხვენება არა გვაქვს — „კალევთან“ გამანადგურებელი ანგარიშით წაგებული მატჩის შემდეგ ბევრი აღშფოთებული გულშემატკივარი გვირეკავს, ჩვენც და ხპორტულ ორგანიზაციებსაც გვთხოვენ, გაირკვეს ყველაფერი და ითქვას სიმართლე.

ქართული კალათბურთის ბედი, როგორც ხედავთ, სერიოზულად აშფოთებს ჩვენს ხაზოგადოებრიობას. მართლაც ძალიან გაგვიჭიანურდა თუ გაგვიტკბა ხხვა გუნდებიდან მოწვეული კალათბურთელებით არხებობის შენარჩუნება. არა, იმას არავინ უარყოფს, რომ წარხულში დაშვებული გულგრილობის შედეგებს, ისევე როგორც ცხოვრების ხხვადახხვა სფეროში, ახლა ხპორტშიც ვიმკით, მაგრამ, მაინც, ყველაფერს წარხულს ნუ დავაბრალებთ. გამიზნულ თადარიგს და ხიფრთხილეს რა ხკობს, მაგრამ ხად არის მიზანი, როდემდე შეიძლება გულგრილად ვიყოთ განწყობილი ჩვენი ჭაბუკებისადმი? ხედავენ თუ არა მწვრთნელები, რომ ამდენი მოწვეული კალათბურთელით ჩვენს გუნდს ქართული ხელიც წავართვით, თამაშის ჩვეულ ხელწერაზე რომ აღარაფერი ვთქვათ? თუ გნებავთ, ხწორედ ესეც გახლავთ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ დინამოელთა მატჩებზე ახე იკლო მაყურებელთა რიცხვმა.

ჭაბუკები ვახხენეთ. ისინი დღეს შეიძლება ოსტატობით მართლაც ჩამორჩებიან გუნდში მოწვეულ მათზე უფროს კალათბურთელებს, მაგრამ როგორ აიმაღლონ ამ ბიჭებმა ოსტატობა, თუკი მხოლოდ ეამიდან ეამამდე შევუშვებთ მოედანზე სათამაშოდ? ვფიქრობთ, მოწვეული კალათბურთელების მიმართ ზედმეტ ნდობას ვიჩენთ, ჩვენი უმაწვილებისადმი კი — ზედმეტ უნდობლობას. სადავო და ხაეჭვო არაფერი იქნებოდა, ეს მეტისმეტი მიმნდობლობა და მოთამაშეთა გაუთავებელი მოწვევა გუნდს რაღაც მაღალი მიზნებისათვის რომ ხეირდებოდეს. ახლა ყველა ხედავს, რომ თურმე „ვარსკვლავების“ მოწვევა გვინდა არა ხაბრიზო ადგილისთვის ხაბრძოლველად, არამედ იმისთვის რომ... ადგილი შევინარჩუნოთ უმაღლეს ლიგაში. აი, სადამდე დავეშვით.

ვის მოუბრწყინდება ენა და გაამტყუნებს გულშემატკივარს, როცა ამდენ მატჩს ვაგებთ, თანაც რა ანგარიშით... მოდი და უმტკიცე იმავე გულშემატკივარს, რომ გუნდისთვის ის ხკობს, მოწვეული კალათბურთელებითა და თითო-ოროლა ქართველი ხპორტხმენით წააგოს მატჩი, ვიდრე ქართველი პერსპექტიული და ახალგაზრდა კალათბურთელებით. ჩვენივე ბიჭები რომ მატჩს წააგებენ, ამის მიზეზის ახხნა გულშემატკივრებს არ გაუჭირდებათ — იციან, რომ ხვალინდელ დღეხთან გვაქვს ხაქმე, მაგრამ „ვარსკვლავების“ მიერ ხამრცხვინოდ წაგებულ მატჩებს ისინი ვერაფრით ვერ უძებნიან ახხნას. ხვალ ის მოწვეული კალათბურთელები ქუდს დაიხურავენ და დაგვეშვიდობებიან, ჩვენ კი აქ დავრჩებით, ჩვენივე პრობლემების პირისპირ, ჩვენ უნდა ვაგოთ პასუხი ჩვენივე ხაქმისთვის. რატომ მიგვყავს, უფრო ხწორედ, რატომ მივიყვანეთ ხაქმე აქამდე, რატომ ვანელებთ იმ ჭაბუკების გულს ცეცხლს? მოდით, მათ ხულშიც ჩავიხედოთ, განა ჩვენი ხაკალათბურთო ხკოლის აღზრდილებში, როცა უფროსები მატჩებს მატჩებზე თმობენ, რწმენა გაუბზარავი დარჩება?

მკრეხელობა იქნებოდა გუნდის ხელმძღვანელს, პირადად უფროს მწვრთნელს დავწამოთ, რომ ყოველივე ამას ისინი ვერ ხედავენ და ვერ გრძნობენ. ჩვენ შორს ვართ ასეთი აზრისაგან, ლევან მოხეშვილის პროფესიულ დონეს, მის პირად დამსახურებას, მის პიროვნებას დიდ პატივს ვცემთ, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ იგი თავად არ ეძებს ხსნას. მაგრამ... ძალაუნებურად ჩნდება აზრი: ხელიდან ხომ არ გაგვექცა დისციპლინის ხადავეები, უმართავი ხომ არ გახდა გუნდი, ხომ არ არის დაპირისპირება ვეტერანებსა და ახალგაზრდებს შორის? ან რა პასუხს გავცემთ მომავალში იმ ყმაწვილებს, ოფლისღვრით რომ გაიკაფეს გზა რესპუბლიკის პირველ გუნდში? [illegible] ბიჭები შორს ძალიან შორს მიდის...

ბადლობის გარდა, რა გვიქმის შესანიშნავი ხპორტხმენის კაპუტინის მიმართ, კაპუტინი მაინც კაპუტინია. აი, სხვებზე კი ამას ვერ ვიტყვით, გვეჩვენება, რომ ძალზე ინერტულები გახდნენ კოლიჩევი, ტიუბინი, ახლა ტალინში გუნდში კვლავ გამოჩნდა რიეოვი, ის რიეოვი, რომელმაც დაახლოებით ხამი თვის წინათ დატოვა „დინამო“. რატომ, რა მოხაზრებით გაჩნდა იგი დინამოელთა შორის, იმიტომ ხომ არა, რომ ისევ მყარად დავხვათ ხათადარიგოთა ხკამზე ჩვენი ახალგაზრდა კალათბურთელი, რომელიც ეს-ესაა წამოდგა და მოედანზე ხურს შედგას ფეხი კუთვნილი ადგილის დასაკავებლად?

არავის გვეპატიება თუნდაც ის, რომ აქამდე არ ვიფიქრეთ პირველი ლიგის გუნდის შექმნაზე. უმაღლეს ლიგაში — პირველი ლიგის გარეშე? რა იყო ეს, ორიგინალური გზით ხიარული? მაგრამ ახლა ხომ ყველა კარგად ვხედავთ ხადამდე მიგვიყვანა ამ გზაზე შედგომამ. ამ მდგომარეობის გამოსახწორებლად ახლა ვდგამთ უკვე პირველ დაგვიანებულ ნაბიჯებს, რაც უთუოდ უნდა დავაჩქაროთ, 15-20 წლის განმავლობაში არ ვუფრთხილდებით ტალანტებს და... ისინი დღესაც ხათადარიგოთა სკამზე ხხედან.

ჩვენდა ხავალალოდ, არც ახალგაზრდა მწვრთნელთა კადრების აღზრდაზე გვიფიქრია თავის დროზე, თუმცა, არც ახლა ეგრძნობა ამ ხაქმეში ხიბეჯითე და დიდი დაინტერესება.

აი, ხულ ეს არის, რისი თქმაც გვინდოდა. მაგრამ ვთქვით კი ყველაფერი? ალბათ არა. და ვერც ვიტყოდით, რადგან მთავარი ხიტყვა მაინც გუნდის ხელმძღვანელებს ეკუთვნით. გვჯერა რა ლევან მოხეშვილის ტაქტისა და ხაზოგადოებრივი აზრისადმი გულხსმიერი მიდგომისა, ვთხოვთ მას გამოვიდეს გაზეთის ფურცლებზე, აუხსნას ქართული კალათბურთის გულშემატკივრებს, რა ხდება ჩვენს გუნდში, რას აპირებს ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსახწორებლად. ხაზოგადოებრიობას არ ხურს დაიჯეროს, რომ გუნდის ხელმძღვანელების დუმილი ხატკივრის დამალვის ხურვილითაა გამოწვეული.

გთხოვთ, ლევან!

პირველ სიყვარულს ოოლად არ ეღალატება

(დასასრული)

ლონების წარმომადგენლები, კერძოდ მოქანდაკეები ვართ დამნაშავენი. მოქანდაკის მოღვაწეობა სწორედ სპორტული თემატიკით იწყება, რომ არ არსებობდეს შიშველი სხეული, არც ქანდაკება იქნებოდა. შიშველი სხეული, თანაც სპორტსმენისა, იმდენად ლამაზი, მოხდენილი და მიმზიდველია, რომ სწორედ აქედან იღებს სათავეს ქანდაკების დაბადების საწყისები. მოქანდაკის პირველი სიყვარული სწორედ სპორტული თემატიკაა, პირველ სიყვარულს კი, როგორ ფიქრობთ, იოლად უღალატებს კაცი? სამხატვრო აკადემიაში, მეორე კურსის სტუდენტი რომ ვიყავი, ნოდარ დარბაისელის ქანდაკება გავაკეთე. დღეს რომ ჩვენს მოქანდაკეებს ჩამოვუაროთ, ყველას სახელოსნოში ვნახავთ სპორტულ თემატიკაზე შესრულებულ ნამუშევრებს. ქანდაკებას მაშინ აქვს ფასი, როცა სადმე დაიდგმება და ხალხი ნახავს. როცა თბილისის სპორტის სასახლე აშენდა, მაშინ მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი და რესპუბლიკის სპორტის მესვეურებს შევთავაზეთ, რომ სასახლის ნიშებში საქართველოს ცნობილ ათლეტთა ქანდაკებები დაგვედგა. თვითონ სპორტის სასახლის არქიტექტორმა ლადო ალექსი-მესხიშვილმაც მოიწონა ეს აზრი. სამწუხაროდ, მაშინ მხარი არ დაგვიჭირეს, მერე ნიკოლოზ კანდელაკმა, გიგლა ფირცხალავამ და სხვებმა გადაწყვიტეს უსასყიდლოდ გადაეცათ ჩვენი სახელგანთქმული ათლეტების: დუმბაძის, გოკიელის, კარტოზიას, ციმაკურიძისა და სხვათა ქანდაკებები, ვფიქრობდით, რომ ამგვარ ტრადიციას საფუძველი ჩაეყრებოდა, შემდეგ ყველაფერი თავისი კალაპოტით განვითარდებოდა. მაინც არაფერი გამოვიდა. მერე, როცა თბილისის „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, მოქანდაკეებმა გადავწყვიტეთ მის ტერიტორიაზე ჩვენი ცნობილი სპორტსმენების ქანდაკებები დაგვედგა. აქაც იგივე განმეორდა. ზოგმა ისიც თქვა, ამ საქმიდან არაფერი გამოვა — ყველას მოუნდება თავისი ქანდაკება დაიდგასო. კი ბატონო, მოინდომონ, გახდნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, მრავალგზის ჩემპიონები და მოინდომონ. ასეთები თუ ათი ათასი გვეყოლება, ათი ათასივეს უნდა დავუდგთ — ალალიც იქნება. წინათ ოლიმპიური თამაშების გმირებს ქვაში კვეთდნენ, ამით პოპულარობას უწევდნენ ათლეტსაც და საერთოდ, სპორტსაც. ახლა ნონა გაფრინდაშვილის ქანდაკებაზე ვმუშაობ, რომ დავამთავრებ, ჭადრაკის სასახლეს ვაჩუქებ.

ბრინჯაოს „ნონა გაფრინდაშვილი“ უკვე ამშვენებს ჭადრაკის სასახლესაც და დიდებულ ფოტოალბომს „მერაბ ბერძენიშვილი. ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა“, რომელიც გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა.

ამავე ალბომს ამშვენებს ის პირველი სიყვარულიც — ბრინჯაოს „მოკრივის პორტრეტი“, რომელიც მერაბ ბერძენიშვილს მაშინ გამოუძერწია, როცა მეორეკურსელი სტუდენტი იყო.

ალბომში ნახავთ „გიორგი საკაძესაც“ და სხვა ბრწყინვალე ნამუშევრებს.

ამ ალბომში საქართველოს სსრ და სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატ მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებას ფოტოსურათებისა და რეპროდუქციების (ფოტოსურათების ავტორები არიან ევგენი დერლემენკო და ედუარდ გიგილაშვილი) საშუალებით ვეცნობით (ამ გაცნობაში გვეხმარება ე. ჭაკნელიძის შესავალი და ოლგა ჯოსტინას ტექსტი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

ალბომი მშვენივრადაა გაფორმებული (მაკეტი და მხატვრობა ევგენი დერლემენკოს ეკუთვნის). დასტამბულია იუგოსლავიაში. სამწუხაროდ, ალბომის ტირაჟი მხოლოდ 20 000 ცალია, მისი შეძენის მსურველი კი გაცილებით მეტი აღმოჩნდა.

ავთანდილ ბურასაშვილი.

ნონა გაფრინდაშვილი.

მოკრივის პორტრეტი.

მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნოში.

ავტორის ფოტოები.

„დინამოს“ საფეხბურთო კლუბის დებულება

საერთო დებულება

1. 1. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი არის საზოგადოებრივი დაწესებულება. იგი თავის საქმიანობას წარმართავს სსრკ კონსტიტუციის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე ამ დებულების გათვალისწინებით სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, რისთვისაც იყენებენ კლუბის ინდივიდუალური და კოლექტიური საწევრო გადასახადსა და სამეურნეო საქმიანობის სახსრებს.

1. 2. კლუბი იურიდიული პირია. იგი იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე, სსრ კავშირის ბინაშენსაცხებანკსა და საგარეო ეკონომიკურ ბანკში გახსნილი აქვს ანგარიში, აქვს საკუთარი ბეჭედი, ემბლემა, სამკერდე ნიშანი.

1. 3. კლუბი დამოუკიდებლად ამუშავებს საბჭოს მიერ დამტკიცებულ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და სოციალური განვითარების გეგმებს. კლუბის ზემდგომი ორგანოა საქართველოს „დინამოს“ საბჭო, რომელიც წარმართავს მის მუშაობას და ახორციელებს ფინანსურ კონტროლს.

2. მიზნები და ამოცანები

2.1. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის მთავარი მიზანია წარმატებით გამოსვლა საკავშირო ჩემპიონატში, თასის გათამაშებასა და ევროპულ საკლუბო ტურნირებში, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის მაღალკვალიფიციური ფეხბურთელების მომზადება.

2.2. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის მთავარი მიზანი მიიღწევა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტით:

ა. ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის პროპაგანდით, მისი გამოყენებით ახალგაზრდებისა და პერსპექტიულ ფეხბურთელთა კლუბში მიზიდვის მიზნით;

ბ. ფეხბურთელთა ოსტატობის ამაღლებით საწვრთნელ-სასწავლო პროცესში მუშაობის მოწინავე გამოცდილების დანერგვის, ამ პროცესის სამედიცინო-ბიოლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფის საფუძველზე, საერთაშორისო კლასის ფეხბურთელთა მომზადების, ნაკრები გუნდებისა და საკლუბო კოლექტივების შემადგენლობებში სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიო პირველობებსა და ოლიმპიურ თამაშებში უმაღლესი შედეგების მისაღწევად.

გ. საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების დანერგვა-ჩატარებისა და მათი ორგანიზაციის სისტემებისა და ფორმების სრულყოფის მიზნით საფეხბურთო საბჭოს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით.

დ. სსრ კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების კლუბებთან მჭიდრო კავშირის დამყარებით; მაღალი კლასის გუნდის შესაქმნელად გამოცდილების ურთიერთგაზიარებით.

ე. კლუბის სპორტსმენების, მწვრთნელებისა და თანამშრომლების სამშობლოს სიყვარულის, საბჭოთა სპორტის პრინციპებისადმი ერთგულების, საბჭოთა საზოგადოებისათვის მოღვაწეობა მოვლენებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდით.

2.3. მთავარი მიზნის მისაღწევად და ამოცანათა გადასაწყვეტად მუშაობაში თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი ეყრდნობა პარტიის თბილისის ქალაქკომის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური და საქალაქო კომიტეტების, საქართველოს სსრ სპორტსახკომის, საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობისა და პოლიტორგანოების, აგრეთვე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების დახმარებასა და ურთიერთმოქმედებას.

III. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის წევრთა უფლებები და მოვალეობა

3.1. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის წევრი შეიძლება გახდეს ის, ვინც ცნობს და ასრულებს კლუბის წესდებას, სისტემატურად მეცადინეობს ფეხბურთში ან ხელს უწყობს მის განვითარებას, იხდის საწევრო გადასახადს.

3.2. კლუბის კოლექტიური წევრები შეიძლება გახდნენ ნებისმიერი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სათანადო სამუშაოს ატარებენ კოლექტივში ფეხბურთის განვითარებლად, ცნობენ და ასრულებენ კლუბის წესდებას, იხდიან საწევრო გადასახადს.

შენიშვნა: 1. საფეხბურთო კლუბის წევრები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები და კოლექტივები საცხოვრებლისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად, თუ ასრულებენ ზემოაღნიშნულ პირობებს.

2. საწევრო გადასახადის გარდა, კოლექტიურ და ინდივიდუალურ წევრებს შეუსლიათ ნებაყოფლობითი დახმარება გაუწიონ კლუბს ფულადი სახსრებით (ვალუტით), ბაზის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, ფეხბურთელთა ეკიპირებით, სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-ბიოლოგიური საშუალებებით.

3.3. საწევრო გადასახადი შოსწავლეებისა და სამხედრო მოსამსახურეებისათვის (რიგითნი) 2 მანეთია, დანარჩენთათვის — 12 მანეთი. კოლექტიური წევრებისათვის — 1000 მანეთი.

3.4. კლუბის წევრების მიღებას ახორციელებს კლუბის საბჭო, რომელიც გასცემს საწევრო მოწმობასა და სამკერდე ნიშანს.

3.5. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის წევრები მოვალენი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ დებულებაში მითითებულ ამოცანათა გადაჭრაში. ფეხბურთში მეცადინეობა გამოიყენონ ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების დასამკვიდრებლად.

3.6. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის წევრებს უფლება აქვთ:

ა. აირჩიონ და იყვნენ არჩეულნი კლუბის ხელმძღვანელ ორგანოებში.

ბ. პირადად მიიღონ მონაწილეობა კლუბის ნებისმიერი დონის სხდომის მუშაობაში, თუ განიხილება კლუბში მათი საქმიანობის ან ქცევის საკითხი.

გ. კრებებსა და საბჭოს სხდომებზე განიხილონ კლუბის მუშაობის საკითხები, შეიტანონ წინადადებები და შეკითხვები, გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და განხორციელებისას დაუფარავად გამოთქვან და დაიცვან თავიანთი აზრი, დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ მიიღონ ამომწურავი პასუხი.

დ. ისარგებლონ უპირატესობით თბილისის „დინამოს“ მატჩებზე დასასწრები ფასიანი აბონემენტების შესაძენად და სხვა ქალაქებში გუნდის გულშემატკივართა ორგანიზებულ გამგზავრებაში (ტურისტულ ჯგუფებში) მონაწილეობის მისაღებად.

3.7. კლუბის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, სპორტული წარმატებებისათვის კლუბის წევრმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ჯილდო, ან არსებული წესით წარდგენილი იქნება საპატიო წოდების მისანიჭებლად.

3.8. კლუბის წევრი პასუხს აგებს წესდების დარღვევისათვის, კანონისა და საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის წესებისათვის შეუფერებელი საქციელისათვის და შეიძლება კლუბდანაც გაირიცხოს. კლუბიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

4. კლუბის ხელმძღვანელი ორგანოები

4. 1. კლუბის საბჭო აირჩევა კონფერენციის მიერ ღია კენჭისყრით (ხმების უმრავლესობით). კლუბის საბჭო ირჩევს (გადაირჩევს) კლუბის პრეზიდენტს, პასუხისმგებელ მდივანს და ოსტატთა გუნდის უფროსს. ამ გადაწყვეტილებებს ამტკიცებს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

4. 2. კლუბის საბჭო საკლუბო საკითხების დადასაწყვეტად იკრიბება წელიწადში ორჯერ. საბჭო უფლებამოსილია კლუბის დებულებაში შეიტანოს ცვლილებები და დაზუსტებები.

4. 3. კლუბის პრეზიდენტი ხელშეკრულებებს დებს მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან, ნიშნავს და ათავისუფლებს კლუბის მმართველობის წევრებს.

4. 4. კლუბის პრეზიდენტი, პასუხისმგებელი მდივანი და ოსტატთა გუნდის უფროსი განაგებენ კრედიტებს, წარმოადგენენ კლუბს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ხელს აწერენ საბჭოს დადაწყვეტილებებს, ფინანსურ საბუთებს, დადგენილ ანგარიშგებას.

4. 5. კლუბი ავტონომიურია გადაწყვეტილებების მიღებაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

V. კლუბის სახსრები და ქონება

5.1. კლუბის საქმიანობის დაწყებისათვის აუცილებელი სახსრები და ქონება იქმნება თბილისის „დინამოს“ გუნდის წამახალისებელი სახსრების ნარჩენებიდან, ნაგებობებიდან და მოწყობილობებიდან, რომელსაც კლუბს უფასო სარგებლობისთვის გადასცემენ დამფუძნებელი ორგანიზაცია და კოლექტიური წევრები.

5.2 შემოსავალი საბჭოთა მანეთებში

ა. თბილისის „დინამოს“ ოსტატთა ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობის მონაწილეობით მატჩების ბილეთებისა და აბონემენტების რეალიზაციისაგან.

ბ. კლუბის ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების საწევრო გადასახადებიდან, სპონსორებისაგან, კლუბის მიერ განხორციელებულ ყველა სახის ფასიანი მომსახურებისა და ღონისძიებათა შემოსავლისაგან, ნებაყოფლობითი საჩუქრებისა და შენატანებისაგან.

გ. სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა დაწესებულებების შემოსავლიდან (40%), რომლებიც დიფერენცირებული წამატებით საცალო ფასებში შიდა ბაზარზე ყიდიან სუვენირებს, სპორტულ ატრიბუტიკასა და მოხმარების საქონელს, რის დასამზადებლადაც იყენებენ კლუბის სიმბოლიკას.

დ. სუვენირების ნაწარმის, ბეჭდვითი პროდუქციისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა შემოსავლიდან.

ე. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ამ საკლუბო გუნდის მატჩის დროს გამართული ნივთების ლატარიების (40%) შემოსავლიდან.

ვ. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ამ საკლუბო გუნდის საკავშირო პირველობისა და საერთაშორისო მატჩების დროს (20%) სამამულო წარმოების საქონლის რეკლამირებით მიღებული შემოსავლიდან (50%).

5.3. კლუბს უფლება აქვს „დინამოს“ სტადიონის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დაადგინოს თბილისის „დინამოს“ საკავშირო პირველობისა და საერთაშორისო მატჩებზე დასასწრები ბილეთების ფასი.

5.4. კლუბს შეუძლია გახსნას სპეციალიზებული საფირმო მაღაზია, კაფე და საზოგადოებრივი კვების სხვადასხვა დაწესებულება, სუვენირების, სპორტული ატრიბუტიკისა და სარეკლამო პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები.

5.5. კლუბის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება კლუბის ორგანიზატორ-დამწესებლისა და კლუბის კოლექტიური წევრების დახმარების ფონდიდან. კლუბს შეუძლია, აგრეთვე, დადგენილი წესით ისარგებლოს სებანკო კრედიტით.

5.6 დაარსებიდან სამი წლის განმავლობაში კლუბი თავისუფალია სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადისაგან და ზემდგომი ორგანოების ფონდში თანხის გადარიცხვისაგან.

5.7. უცხოური ვალუტის შემოსავალი

ა. საზღვარგარეთელ პარტნიორებთან პირდაპირი კავშირით, სპორტული, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის საკითხთა გადაწყვეტით, სპონსორობითა და სამეურნეო ხელშეკრულება-კონტრაქტების დადებით.

ბ. მოლაპარაკების საფუძველზე საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებით, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ბაზრობების ჩათვლით.

გ. საზღვარგარეთელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, უშუალო მონაწილეობით, ან საგალუტო სახსრების შეტანის გზით შემოსავლების მიღების მიზნით.

დ. კლუბის უცხოელ წევრთა (მოყვარულთა) საწევრო გადასახადებით და ნებაყოფლობითი საჩუქრებით.

ე. კლუბის საგალუტო დანაზოგების ფონდი ამოღების არ ექვემდებარება და დაგროვილი თანხის გამოყენება შეიძლება შემდგომ წლებში.

6. კლუბის საორგანიზაციო სტრუქტურა

6.1. სტრუქტურულად თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი შედგება ოსტატთა გუნდის, სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის, სამეცნიერო-მეთოდური და ეკონომიკური ცენტრების, საკლუბო მუშაობის სამსახურის, სპორტნაგებობათა კოლექტივის, აგრეთვე ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთაგან.

6.2. კლუბის წამყვან სამსახურად ითვლება თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდთან მიმართებაში სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი.

ამ მიმართულებით მეცნიერული შემუშავების პრინციპები და ხორციელდება სასწავლო-საწვრთნელი და ამზრდელობითი პროცესების პრაქტიკული ორგანიზაცია რეზერვების, მეცნიერულ-მეთოდური და სამედიცინო-ბიოლოგიური უზრუნველყოფის საშუალებათა შერჩევა და მომზადება, სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს სათავეში უდგას თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი.

6.3. კლუბის დანარჩენი ქვეგანაყოფები, იყენებენ რა მუშაობაში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის თანამედროვე პრინციპებით აგების რეკომენდაციებს, უზრუნველყოფენ სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის მთავარი ამოცანების გადაწყვეტას.

ამ ქვეგანაყოფს განაგებს კლუბის პასუხისმგებელი მდივანი.

7. კლუბის კადრები, ხელფასი და შრომის დისციპლინა.

7.1. კლუბის კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა ხორციელდება კლუბის ხელმძღვანელის მიერ.

7.2. შტატის თანამშრომლების მიერ გამომუშავებულ თანხას და პრემიას კლუბის საბჭო განსაზღვრავს მათი დატვირთვის, გაწეული შრომისა და მიღწეული შედეგის მიხედვით და მტკიცდება კლუბის საბჭოს გადაწყვეტილებით.

7.3. კლუბის მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ურთიერთმოვალეობა ფორმდება ხელშეკრულებით (კონტრაქტით).

7.4. მწვრთნელთან და ფეხბურთელთან შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებისას კლუბი ითვალისწინებს გუნდის საშტატო ერთეულებს, რომელსაც ადგენს მთავარი მწვრთნელი და ამტკიცებს კლუბის საბჭო.

7.5. კლუბი შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე გუნდის წევრებსა და სხვა თანამშრომლებს ყოველწლიურად აძლევს ფასიან შვებულებას.

7.6. კლუბის მუშაობაში შეიძლება ჩართვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კოოპერატივების, ცალკეული სპეციალისტებისა, რომელთაც ანზღაურება შეიცემათ შრომითი ხელშეკრულებით. ხელშეკრულებით მომუშავეთ მთლიანად შეუნარჩუნდებათ პენსია, სამუშაო ადგილზე გამომუშავებული თანხა, სტიპენდია.

7.7. შრომითი კოლექტივების წევრთა სოციალურ გარანტიებს უზრუნველყოფენ კლუბის საბჭო და დამფუძნებელი ორგანიზაცია.

8. კლუბის საქმიანობის შეფასება

8.1. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს:

ა. დასახულ მიზნებისა და ამოცანების ეკემატურად შეუსრულებლობის მოთხოვნაში.

ბ. ხანგრძლივი ფინანსური ზარალისა და გადახდისუუნარობის მიზეზით, აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ კლუბისა და ზემდგომი ორგანოს მიერ რენტაბელობის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები ფუჭი აღმოჩნდება.

8.2. კლუბის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის დროს ზემდგომი ორგანო განთავისუფლებულ მუშაკებს აძლევს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებების დაცვის გარანტიას.

● ფეხბურთი ● ● ფეხბურთი

საკონტროლო მატჩები

ახალი სეზონისთვის მზადებას ჩვენი რესპუბლიკის ოსტატი ფეხბურთელები შავი ზღვის სანაპიროზე გადიან.

თბილისის „დინამომ“ ამ დღეებში ორი საწვრთნელი მატჩი გამართა. პირველი შეხვედრა მას როსტოვის არმიელებთან ჰქონდა, მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:1. დინამოელთაგან ბურთები გოგიჩაიშვილმა და ცაავამ გაიტანეს.

მეორე შეხვედრაში ჩვენი გუნდის მეტოქე ხარკოვის „შეტალისტი“ იყო. მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0. ამ თამაშში გოგიჩაიშვილმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

ეშერის სტადიონზე ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქე საწვრთნელ მატჩში უმაღლესი ლიგის გუნდი მინსკის „დინამო“ იყო. ანგარიშით — 2:1 გაიმარჯვეს მინსკელებმა.

სტუმრად ბულგარეთში

ბათუმი (ტელეფონით, „ლელოს“ სკ. კორ.). ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მესამე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს აქ სტუმრად მყოფ პოლონეთის ქალაქ ლოძის ლკს-სთან.

თამაში საინტერესო გამოდგა. უშედეგოდ დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ, ანგარიში გახსნა ბათუმელმა ათუაშვილმა, საპასუხო ბურთი გაიტანა სტუმართა თავდამსხმელმა გრადმა, მაგრამ უკვე მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, დინამოელმა ქვანიამ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 2:1.

„დინამომ“ თამაში ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ბალაძე (ჯუცია), გოგიტიძე, მჭედლიშვილი, კობესოვი (დურდიაძე), ჩიქოვანი, ზედანია (მ. მახარაძე), თორდაშვილი (კაკილაშვილი), ათუაშვილი, კიკლიაშვილი (მაისურაძე), ქვანია, მიქაშავიძე.

ბათუმის დინამოელები წინასასეზონო სამზადისის გასაგრძელებლად ხვალ მიემგზავრებიან ბულგარეთს, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გამართავენ.

ლევან ქავთარაძე.

ნაკრები დაშალეს

როგორც ერაყიდან იტყობინებიან, ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი დაშალეს იმის გამო, რომ არადამაკმაყოფილებელი შედეგები ჰქონდა მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებში. შეიქმნა ერაყის ახალი ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან მხოლოდ ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელები.

შეჯიბრება დაიწყო

საუდის არაბეთის ქალაქებში დაიწყო ახალგაზრდა ფეხბურთელთა (21 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატი.

ჩემპიონატის გახსნის მატჩი შედგა საუდის არაბეთისა და ნიგერიის გუნდებს შორის, თამაში დამთავრდა ნიგერიელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. თამაშის ბედი გადაწყდა ბოლო წუთზე, როცა ნიგერიელმა ფეხბურთელებმა ისარგებლეს მასპინძელთა დაცვის შეცდომით და გადამწყვეტი გოლი გაიტანეს — 2:1.

გუშინ საბჭოთა ფეხბურთელებმა თავიანთ ჯგუფში პირველი მატჩი გამართეს სირიის გუნდთან.

მსოფლიო ჩემპიონატი

ევროპის ზონა, VII ჯგუფი

განვლილ ოთხშაბათს ლისაბონში გაიმართა მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პორტუგალიისა და ბელგიის გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1, ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (პანეირა, 53-ე წუთი), ფინალურ სასტვენამდე 7 წუთით ადრე ბელგიელთა მცველმა ვერეტსმა უძლიერესი დარტყმით გაქვითა ეს გოლი.

გათამაშების ცხრილი

	თამ.	ფ.	წ.	ბ.	ჯ.
ბელგია	3	1	2	0	2-1 4
ჩეხოსლოვაკია	2	1	1	0	2-0 3
პორტუგალია	2	1	1	0	2-1 3
შვეიცარია	2	1	0	1	4-2 2
ლუქსემბურგი	3	0	0	3	1-7 0

ჩემპიონი გამოვლინდა

თბილისი ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ახალგაზრდა ოსტატ ვაჟთა საკავშირო პირველობა.

ბოლო ტურის წინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. **XI ტური:** სავჩენკო-ანასტასიანი— 0,5:0,5, **XIII ტური:** ულობინი-დაუტოვი — 0:1, დრეევი-გიორგაძე— 1:0, შაბალოვი-ნეეროვი — 0:1, ანასტასიანი-როზენტალისი — 0:1, რუბანი-სერპერი — 0,5:0,5, **XIV ტური:** სერპერი-დრეევი — 0:1.

ბოლო, XV ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერთა შეხვედრები.

აშოტ ანასტასიანისა და ვალერი ნეეროვის პარტიაში ორივე მოჭადრაკეს თავისი მიზანი ჰქონდა. ანასტასიანს გამარჯვების შემთხვევაში საპრიზო ადგილზე გასვლის დიდი შესაძლებლობა ეძლეოდა, ხოლო თუ პარტიას კიეველი საერთაშორისო ოსტატი მოიგებდა, მაშინ იგი ხდებოდა ჩემპიონი. რთულ და დაძაბულ ბრძოლაში ნეეროვმა შეძლო უპირატესობის მიღება და მისთვის საჭირო გამარჯვება მოიპოვა.

ასევე მხოლოდ გამარჯვება აძლევდა პირველი ადგილის აღების შანსს მინსკელ საერთაშორისო ოსტატ რუსტემ დაუტოვს. იგი შავი ფიგურებით ეთამაშებოდა ნოვოსიბირსკელ ოსტატ ვადიმ რუბანს. დაუტოვი რისკიანად თამაშობდა, თანდათან უარესი პოზიცია მიიღო და საბოლოოდ დამარცხდა.

ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: შაბალოვი-სერპერი — 1:0, ულობინი-აკოფიანი — 0:1, ტიმოშენკო-ოლი — 0,5:0,5, დრეევი-შიროვი — 0,5:0,5, სავჩენკო-გიორგაძე — 0,5:0,5, როზენტალისი-ეპიშინი — 0,5:0,5.

ამრიგად, შესანიშნავი შედეგით, 15 შესაძლებლიდან 11 ქულით, ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა კიეველმა საერთაშორისო ოსტატმა ვალერი ნეეროვმა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა საერთაშორისო ოსტატი რუსტემ დაუტოვი (მინსკი). 9,5 ქულით მესამე იყო საერთაშორისო ოსტატი ალექსეი დრეევი (მოსკოვის ოლქი). დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV. ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) — 9, V-VII. ლემბიტ ოლი (ტალინი), აშოტ ანასტასიანი, ვლადიმერ აკოფიანი (ორიგე—ერევანი) —8-8, VIII. ალექსეი შიროვი (რიგა) — 7,5, IX-XI. ვლადიმერ ეპიშინი (ლენინგრადი), ვადიმ რუბანი (ნოვოსიბირსკი), ალექსანდრე შაბალოვი (რიგა) — 7-7, XII. მიხეილ ულობინი (სვერდლოვსკი) — 6,5, XIII-XIV. გრიგორი სერპერი (ნოვოსიბირსკი), გიორგი ტიმოშენკო (მოსკოვი) — 6-6, XV. გია გიორგაძე (თბილისი) — 5, XVI. სტანისლავ სავჩენკო (ოდესა) — 4,5.

თბილისელთა გამარჯვება

გორში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 45-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. შეჯიბრებაში ერთბაშად სამმა მოჭადრაკემ საუკეთესო შედეგს მიაღწია. 15-15 შესაძლებლიდან 12-12 ქულა მოაგროვეს თბილისელმა ოსტატობის კანდიდატებმა გიული ალიხანაშვილმა, ლელა თანდაშვილმა და იამზე თვაურმა. საუკეთესო კოეფიციენტით პირველი სამი ადგილიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა. ამრიგად, საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება ალიხანაშვილმა და თანდაშვილმა მოიპოვეს.

შეჯიბრებაში ოსტატობის კანდიდატის ნორმა (10 ქულა) შეასრულა თბილისელმა მაია ლომინეიშვილმა — 11 ქულა.

წყალტუბოში კი მსგავსი ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურირი აღრე ასეთი მდგომარეობაა: ქუთაისელ ეკატერინე ფახიროვას 12,5 ქულა აქვს, მის თანაქალაქელ ივეტა კურცხალიას — 12, წულუკიძელმა ინგა ხურცილავამ 11,5 ქულა მოაგროვა, სოხუმელმა ეკატერინე კემულარიამ — 11.

საბჭადრაკო კომპოზიცია მოჭადრაკე-პროგლემისტი

ძლიერი მოჭადრაკეების დაინტერესება კომპოზიციით მათ შაღალ საჭადრაკო კულტურაზე მეტყველებს და ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ გაცილებით ცოტაა იმ მოჭადრაკეთა რიცხვი, ვინც სატურნირო და სამატჩო წარმეტებების ფონზე საკომპოზიციო ასპარეზზეც თავი გამოიჩინა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ცნობილი ავსტრიელი დიდოსტატი კარლ შლეხტერი (1874-1918), მისი ფრედ დამთავრებული მატჩიც ე. ლასკერთან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე დღესაც გვიოცებს.

ამოცანების შედგენამ იგი თექვსმეტი წლიდან გაიტაცა და ეს გატაცება მას ცხოვრების ბოლომდე შერჩა. მეორე გამოჩენილი ავსტრიელი დიდოსტატის რუდოლფ შპილმანის თქმით „შლეხტერი კომპოზიციაში, პირველ ყოვლისა, იმ ესთეტიკურ ფასეულობებს ეძებდა, რომლებიც პრაქტიკულ თამაშში ყოველთვის არ შეღავნდება მისი ფსიქოლოგიური და სხვა შემთხვევითობების გამო“. ამოცანების თხზვის სიყვარული მას პირველმა მასწავლებელმა, ავსტრიელმა პრობლემისტმა ს. გოლდმა ჩაუნერგა, რომლის სახლშიაც ახალგაზრდა შლეხტერი ხშირად დადიოდა გასული საუკუნის 80-იან წლებში.

კ. შლეხტერი, 1890



შამათი 2 სვლაში

ეს მისი პირველი ამოცანაა, რომელიც ჟურნალმა „დოიჩე ვოხენშახმა“ დაბეჭდა. მიუხედავად ამისა, იგი კარგად ასახავს მოჭადრაკე-პრობლემისტის შემოქმედებით სტილს ორსვლიან ამოცანებში, რაც მომდევნო წლებში გამოიკვეთა: ეფექტური პირველი სვლა ლაზიერის შეწირვით და ლამაზი შამათები. ასევე იხსნება ეს დებიუტი-ნაწარმოებიც: 1. ლe4! ძირითადად მას ორსვლიანი და სამსვლიანი ამოცანების შედგენა იტაცებდა. სულ შექმნა 300-მდე ნაწარმოები, სადაც ეფექტური შეწირვების გვერდით გვხვდება მოულოდნელი ცუგცვანგი, წყნარი და შენიღბული სვლები, სანიმუშო შამათები.

კ. შლეხტერი, 1909



შამათი 3 სვლაში

80 წლის წინათ შედგენილი ეს ნაწარმოები ერთ-ერთი საუკეთესოა შლეხტერის სამსვლიან ამოცანებს შორის. 1.a6! ცუგცვანგი. 1...c2 2. კd6+! და მეფის სამ სხვადასხვა სვლას—მფd8, მფ:d6, მფb6 სამი სანიმუშო შამათი მოსდევს: 3.ლh8, ლe5, a5X. ასევე შთამბეჭდავია დანარჩენი ორი ვარიანტიც: 1....მფ:b8 2.ლh1! მფc7 3.ლb7X და 17....b4 2.ლd1 მფb6 3.ლd8X.

პატარა ბახსენება

1949 წლის ზაფხული იყო. სწორედ მაშინ განახლდა ქართული სპორტული გაზეთი „ლელოს“ სახელწოდებით. ჩემთვის—12 წლის სპორტზე შეყვარებული ბიჭისათვის იგი მთავარ საკითხავ გაზეთად იქცა. იქვე ვიხილე ცნობილი მოჭადრაკის ვახტანგ ქარსელაძის დიაგრამაზე დაბეჭდილი ორსვლიანი ამოცანაც, რომელსაც რედაქცია ამოსახსნელად სთავაზობდა მკითხველებს.

ვ. ქარსელაძე, 1949



შამათი 2 სვლაში

მანამდე კომპოზიციას ძირითადად ჭადრაკის სახელმძღვანელოებში მოთავსებული მაგალითებით ვიცნობდი და მათი სპეციალურად ამოხსნა არ მიცდია. ამ ამოცანამ კი ანდამატივით მიმიზიდა და გადავწყვიტე აუცილებლად ამომეხსნა. დღესაც ამიტომ მახსოვს იგი, რომ ეტყობა, ძალიან გამიხარდა, ავტორისეული დავალება რომ დავძლიე. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ტომსოიერისმაგვარი თავგადასავალი გადამხდა საიდუმლოს გახსნისას და ჭადრაკის იდუმალი სამყარო ჩემთვის ახლობელი და უფრო გასაგები გახდა. წლების შემდეგ, როცა ჭადრაკით უფრო მეტად დავინტერესდი და სპეციალური ლიტერატურის შეგროვება-შესწავლას შევუდექი, ხელში მომხვდა „გამოცანა-ძალა“ „ენციკლოპედიური სპარტაკი“ 1961 წელს გამოცემული ა. კარგელ. „ჭადრაკი“ ამოცანა“ ... ერთ-ერთი თანავტორის ა. ბატურინის წერილში „ახალგაზრდა საბჭოთა პრობლემისტები“ ეწერა, რომ ვახტანგ ქარსელაძე ცნობილია არა მარტო როგორც კომპოზიტორი, არამედ ძლიერი მოჭადრაკეც. ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს პირველობების არაერთგზის მონაწილე და რესპუბლიკაში საჭადრაკო მუშაობის აქტიური ორგანიზატორი. დაბეჭდილი იყო ეს ამოცანაც, ფართოდ კომენტირებული ამოხსნით და აღნიშვნით, რომ მან ყურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ის წლიურ კონკურსზე მე-4 სპატიო შეფასება დიმსახურა. შაშინ ამოცანის ავტორი 30 წლისა იყო.

ახლახანს ამ დიდებული პიროვნების და სასიქადულო საჭადრაკო მოღვაწის დაბადების 70 წლისთავი აღინიშნა. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ვ. ქარსელაძის მიერ 40 წლის წინათ შედგენილი კომპოზიციის ამოხსნა, რომელიც მის უტყუარ პრობლემისტურ ნიჭსა და დახვეწილ საჭადრაკო კულტურაზე მეტყველებს.

ამოხსენით და გვაცნობეთ თქვენი პასუხები, ძვირფასო მეგობრებო!

ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-7 ტირაჟების შედეგები, რომელიც 12 თებერვალს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1925276 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (16) მოგება 3888 მანეთია, ოთხისთვის (2019) — 42, სამისთვის (35443) — 4.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 20718217 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (248) მოგება 2516 მანეთია, ოთხისთვის (16898) — 64, სამისთვის (350516) — 4.

07 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 27 თებერვლიდან 27 მარტის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



23-24-25-26 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება XX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

მონაწილეობენ: იაპონიის, აშშ-ის, გფრ-ის, საფრანგეთის, ბრაზილიის, კორეის სდრ-ის, გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, მონგოლეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 13.00 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

სსრ კაბშირის ნაციონალურ კალათბურთში

გაიმართა უმაღლესი ლიგის „კალათბურთელ ვაჟთა მორიგი მატჩები.

კაუნასი. ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ მეორე გამოტოვებული შეხვედრაც მოუგო ვილნიუსის „სტატებას“ — 96:80.

ტალინი. თბილისის „დინამოელებმა მეორე მატჩიც წააგეს „კალევთან“ ანგარიშით 82:95 (46:53).

ვილნიუსი. პირველი მარტის შემდეგ „სტატებამ“ რიგაში აიღო მოსკოვის „დინამოსთან“ — 108:96 (57:46).

გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 17 თებერვლისთვის

„დინამო“ (მოსკ.)	30	19	11	49
ცსკა	23	17	6	40
„უალგ.“ (კაუნასი)	20	19	1	39
ასკ (ალმა-ათა)	24	15	9	39
„კალევი“ (ტალ.)	26	13	13	39
„სტატება“ (ვილნ.)	24	11	13	35
„დინამო“ (თბ.)	26	8	18	34
„სტროიტ.“ (კიევი)	18	15	3	33
ვეფ (რიგა)	27	4	23	31
„სპარტაკი“ (ლენ.)	24	6	18	30
რტი (მინსკი)	20	8	12	28
„შახტ.“ (დონ.)	20	6	14	26

კიდევ სამი მატჩი

გამართლებული იქნება თუ არა კალათბურთელთა ექსპორტი?

საბჭოთა კალათბურთი ექსპორტზე — ეს თემა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში საკმაოდ აქტუალურია. კამათობენ თავად კალათბურთელები, მწვრთნელები, სპეციალისტები და ჟურნალისტიკოვრები. პრობლემას ბევრი მომხრე ჰყავს, ბევრი მოწინააღმდეგე.

ვილნიუსის „სტატებას“ უფროსი მწვრთნელი რიმას ვირსკისი, მაგალითად, ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ხედავს.

„მარჩიულიონისის წასვლა ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა, — აცხადებს იგი, — მაგრამ მხოლოდ დროებით. საქმე ის გახლავთ, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ნბა-ს კლუბები მზად არიან სტაჟირებისთვის მიიწვიონ ჩვენი ახალგაზრდა კალათბურთელები, მწვრთნელები და ასისტენტები. ახალგაზრდობისათვის ნბა-ს კლუბებში სტაჟირება დიდი სკოლა იქნებოდა. ლიდერის წასვლა, ამავე დროს, სხვების პასუხისმგებლობის გრძნობას გაზრდის. გახსოვთ ალბათ, რომ უსაბონისოდ „ჟალგირისი“ წელიწადნახევარს თამაშობდა. ტრაგედია არ მომხდარა.

ჩემის აზრით, საბჭოთა კალათბურთელები ევროპის კლუბებში 28 წლის ასაკიდან უნდა გავუშვათ, ნბაში სათამაშოდ კი უფრო ადრეც, თუ ამას მოისურვებენ ამერიკელები. მატერიალური ანაზღაურება ასეთ შემთხვევაში საკმაოდ სოლიდურია და იგი ნაწილობრივ შეიძლება უცხოელ კალათბურთელთა მოწვევას მოვახმაროთ, ვთქვათ იმავე ამერიკელთა ჩამოყვანას. ასეთ გაცვლა-გამოცვლას სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნის შიგნითაც“.

როცა მარჩიულიონისს ჰკითხეს, თანახმა არის თუ არა ითამაშოს ნბა-ს კლუბებში (ამ კალათბურთელს იწვევს „ატლანტა ჰოუქსი“ და „გოლდენ სტეიტსი“), მან განაცხადა — თანხმობა ჯერ არ მიმიცია. გადაწყვეტილება, პირველ ყოვლისა, ჩემმა კლუბმა და სპორტკომიტეტმა უნდა მიიღონ, მაგრამ ერთორ სეზონს ამერიკელ პროფესიონალებთან სიამოვნებით ვითამაშებდი.

„ჟალგირისის“ მთავარი დამრიგებელი ვლადას გარასტასი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად აირჩიეს, ამ საკითხზე საწინააღმდეგო მოსაზრებისა გახლავთ. მოთამაშის წასვლა უცხოეთში „ჟალგირისს“ ფინანსური თვალსაზრისით არაფერს მისცემს. უფრო მეტიც, ამბობს იგი, ეს აქცია წამგებიანი იქნება. „უვარსკვლავოდ“ გუნდის პოპულარობა მკვეთრად დაეცემა, საზღვარგარეთ კომერციულ მატჩებზე იშვიათად მიგვიწვევენ. არაფერს ვამბობ საქმის სპორტულ მხარეზე, არა და, საკითხავია, როგორი იქნება „ჟალგირისი“, ვთქვათ, უსაბონისოდ და უკურტინაიტისოდ?

ნაკრებს გარასტასის თქმით ასეთი პრობლემები არ ექნება, ვინაიდან, ნებისმიერ კონტრაქტში გათვალისწინებულია საზღვარგარეთ წასულ კალათბურთელთა ნაკრებში თამაშის საკითხი, ევროპისა და აშშ-ს კლუბები თავიანთ ჩემპიონატებს გაზაფხულზე ამთავრებენ, ამიტომ კონტინენტისა და მსოფლიო ჩემპიონატების სამზადისისთვის მათ ბევრი დრო დარჩებათ.

გარასტასის აზრითაც პროფესიონალებთან თამაშის უფლება უნდა დაერთოს 28 წელს გადაცილებულ კალათბურთელებს.

კალათბურთელთა ექსპორტის წინააღმდეგია მელბურნის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ლატვის ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი სტასის სტონკუსი. „დიდხანს ვაშენებდით ჩვენს სახლს და მას ასე სწრაფად ვერ დავანგრევთ, — ამბობს იგი, — მეორეხარისხოვანი კალათბურთელები, თუნდაც ამერიკელები, საქმეს, ცხადია, ვერ უშველიან. გაცვლა არასდროს არ იქნება ეკვივალენტური...“

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10350